საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №66/ნ
2013 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურებრივი ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 48^1 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურებრივი ფორმა პლანშეტი 1; 2, 3; 4; 5, 6, 7-ისა და 8-ის შესაბამისად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №98/ნ - ვებგვერდი, 11.08.2014წ.

მუხლი 2

კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილებისას (ან სხვა პატივსადები მიზეზის არსებობისას) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სამსახურებრივი ფორმის ტარების განსხვავებული პირობები.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურებრივი ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 20 სექტემბრის №158/ნ ბრძანება.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **გიორგი მარგველაშვილი**

ესკიზები

ყოველდღიური ზამთრის ფორმა მამაკაცისთვის

პლანშეტი 1

მუქი ლურჯი ფერის **ქურთუკი**, დათბილული სარჩულით, იკვრება წინ ელვაშესაკრავით, მარცხენა მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით, მარჯვენა მკლავზე საქართველოს დროშის გამოსახულებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

მუქი ლურჯი ფერის **შარვალი**, ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით ჯიბეებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

თეთრი **გრძელმკლავიანი პერანგი** წვრილი ცისფერი ზოლებით, მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ლოგოს გამოსახულებით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

მუქი ლურჯი ფერის **მოკლემკლავიანი პულოვერი,** ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით, გულ-მკერდზე მანდატურის გვარით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

მუქი ლურჯი ფერის **კეპი**, ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ლოგოს გამოსახულებით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) **ჰალსტუხი**.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

საგაზაფხულო ყოველდღიური ფორმა მამაკაცისათვის
პლანშეტი 2

ვარიანტი 1. მუქი ლურჯი ფერის შარვალი, ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით ჯიბეებზე, მუქი ლურჯი ფერის უსახელო ქურთუკი, ნაცრისფერი (მოვეცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით, ამავე ფერის ღილებით. ქურთუკს სახელოები და ზამთრის სეზონისთვის განკუთვნილი დათბუნებული სარჩული ეხსნება ელვის საშუალებით, გულ-მკერდზე მანდატურის გვარით. თეთრი პერანგი წვრილი ცისფერი ზოლებით, მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით.

ვარიანტი 2. მუქი ლურჯი ფერის მოკლე მკლავიანი პულოვერი ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით, მანდატურის გვარით.

ზამთრის ყოველდღიური ფორმა ქალისათვის
პლანშეტი 3

მუქი ლურჯი ფერის **ქურთუკი**, დათბილული სარჩულით, იკვრება წინ ელვაშესაკრავით, მარცხენა მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით, მარჯვენა მკლავზე საქართველოს დროშის გამოსახულებით. ელვის საშუალებით.

საქარველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

თეთრი **გრძელმკლავიანი პერანგი** წვრილი ცისფერი ზოლებით, მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ლოგოს გამოსახულებით.

საქარველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

მუქი ლურჯი ფერის **ქვედა ბოლო**, ნაცრისფერი (მოვეცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით წელზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

მუქი ლურჯი ფერის **შარვალი**, ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით ჯიბეებზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

მუქი ლურჯი ფერის **მოკლემკლავიანი პულოვერი** ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით, გულ-მკერდზე მანდატურის გვარით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

მუქი ლურჯი ფერის **ბერეტი**, გასაფორმებელი ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ლოგოს გამოსახულებით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) **შარფი**.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 17 ივლისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 20.07.2015წ.

გაზაფხულის ყოველდღიური ფორმა ქალისთვის
პლანშეტი 4

ვარიანტი 1. მუქი ლურჯი ფერის ქვედაბოლო ნაცრისფერი (მოვეცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით წელზე, ან მუქი ლურჯი ფერის შარვალი, ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით ჯიბეებზე, მუქი ლურჯი ფერის **უსახელო ქურთუკი**, ნაცრისფერი (მოვეცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით, ამავე ფერის ღილებით, ქურთუკს სახელოები და ზამთრის სეზონისთვის განკუთვნილი დათბუნებული სარჩული ეხსნება ელვის საშუალებით, გულ-მკერდზე მანდატურის გვარით. თეთრი გრძელმკლავიანი პერანგი წვრილი ცისფერი ზოლებით, მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით.

ვარიანტი 2. მუქი ლურჯი ფერის **მოკლემკლავიანი პულოვერი** ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით, გულ-მკერდზე მანდატურის გვარით.

ყოველდღიური ზაფხულის ფორმა მამაკაცისათვის
პლანშეტი 5

ვარიანტი 1

მუქი ლურჯი ფერის შარვალი, ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით ჯიბეებზე, **თეთრი მოკლემკლავიანი პერანგი** წვრილი ცისფერი ზოლებით, მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ –საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს

გამოსახულებით.

ვარიანტი 2

ღია ნაცრისფერი მაისური (პოლო), მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით, გულ-მკერდზე მანდატურის გვარით.

ზაფხულის ყოველდღიური ფორმა ქალისათვის
პლანშეტი 6

ვარიანტი 1

მუქი ლურჯი ფერის ქვედაბოლო ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით წელზე, ან მუქი ლურჯი ფერის შარვალი, ნაცრისფერი (მოვერცხლისფრო) გასაფორმებელი კანტებით ჯიბეებზე, **თეთრი მოკლემკლავიანი პერანგი** წვრილი ცისფერი ზოლებით, მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით.

ვარიანტი 2

ღია ნაცრისფერი მაისური (პოლო), მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით, გულ-მკერდზე მანდატურის გვარით.

საშემოდგომო ყოველდღიური ფორმა მამაკაცისათვის

პლანშეტი 7

მამაკაცის საშემოდგომო ყოველდღიური ლურჯი ფერის პიჯაკი - ნახევრად გამოყვანილი, ერთკალთიანი, იკვრება სამ ღილზე და სამ ღილკილოზე. სახელო ორნაწილიანი, ბოლოში შეხსნილი სამი ღილით. მარცხენა მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით, მარჯვენა მკლავზე საქართველოს დროშის გამოსახულებით. კალთაზე გაჭრილი სარქველიანი ჯიბეებით. მარცხენა ზედა მხარეს ფურცელაკიანი გაჭრილი ჯიბით. საყელო გადაფენილი დგარით. ზურგი ორნაწილიანი, ბოლო შეხსნილი. პიჯაკი დამუშავებულია სარჩულით, მარცხენა მხარეს გულის ჯიბით. პიჯაკის წინა ნაპირი და ჯიბეები გაფორმებულია 2-3 მმ მოვერცხლისფრო კანტით.

საშემოდგომო ყოველდღიური ფორმა ქალისათვის

პლანშეტი 8

ქალის საშემოდგომო ყოველდღიური ლურჯი ფერის პიჯაკი - ნახევრად გამოყვანილი, ერთკალთიანი,

იკვრება სამ ღილზე და სამ ღილკილოზე. სახელო ორ ნაწილიანი. მარცხენა მკლავზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ლოგოს გამოსახულებით, მარჯვენა მკლავზე საქართველოს დროშის გამოსახულებით. კალთაზე გაჭრილი სარქველიანი ჯიბეებით. მარცხენა ზედა მხარეს ფურცელაკიანი გაჭრილი ჯიბით. საყელო გადაფენილი დგარით. ზურგი ორ ნაწილიანი, ბოლო შეხსნილი. პიჯაკი დამუშავებულია სარჩულით. პიჯაკის წინა ნაპირი და ჯიბეები გაფორმებულია 2-3 მმ მოვერცხლისფრო კანტით.